განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჰაერო ტრანსპორტის მენჯმენტი

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 20-21 მაისი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 28.06.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206155328
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (0413)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა მოისწრაფიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დგვეფაძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, შპს „ბრენდორ კონსალტინგი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ღუღუნიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილია საბაკალავრო პროგრამა ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი", რომელიც მანამდე მოქმედებდა აკრედიტაციის რეჟიმში აკრედიტაციის საბჭოს N110 გადაწყვეტილების (28.07.2015) საფუძველზე, სახელწოდებით ,,ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი".

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, საიდანაც ძირითად სასწავლო კომპონენტზე 157, ძირითად არჩევით სასწავლო კურსებზე - 35, თავისუფალ სავალდებულო კომპონენტზე 27, ხოლო თავისუფალ არჩევით კომპონენტებზე 21 ECTS კრედიტი მოდის. ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომი (18 ECTS კრედიტი) და პრაქტიკა (12 ECTS კრედიტი).

პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია. პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ათვისების საფუძველზე კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯმენტში.

პროგრამით განსაზღვრული 240 ECTS კრედიტის ათვისების შემდეგ მიღებული ცოდნის და გამომუშავებული უნარების საფუძველზე, კურსდამთავრებულს შეეძლება გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე, ან დასაქმდეს საშუალო რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე პროგრამით განსაზღვრული დასაქმების სფეროების შესაბამისად.

აკრედიტაციის განაცხადის გაკეთებამდე, პროგრამაში შევიდა მრავალი ცვლილება, რომელიც ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე განხორციელდა. კერძოდ, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები კერძო და საჯარო სექტორის სუბიექტებთან, საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან; ჩამოყალიბდა სტაჟირების სტაბილური პლატფორმა; გადამუშავდა სილაბუსები სწავლა/სწავლების მეთოდების, შედეგების და ლიტერატურის განახლების, შეფასების მეთოდების, მიმართულებით. გაიზარდა დასკვნითი გამოცდის ჩაბარების ზღვარი, არჩევითი და თავისუფალი კრედიტების მოცულობა. განხორციელდა კრედიტების დიფერენცირება სასწავლო კურსების მიხედვით, გაძლიერდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა. გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა დისტანციურად, მიმდინარე წლის 20-21 მაისს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს.

დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. კერძოდ, საბაკალავრო ნაშრომები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები, წიგნების შეძენის ინვოისები და გამოკითხვის მასალები.

ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 2.1, 2.2 , 2.5, 2.6, 3.1, 4.3, 4.3, 5.2, 5.3 შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო 1.1, 1.2, 2.3, 2.4, 4.1, 4.2 და 5.1 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვროს პროგრამის მიზნების შესაბამისად ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორის“ მოთხოვნის საფუძველზე. კერძოდ, პროგრამის სახელწოდება ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ შეიცვალოს სახელწოდებით - ,,მენეჯმენტი“.
- დაიხვეწოს მექანიზმი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტთა შეფასების ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის შედეგები, სწავლის შედეგების არაპირდაპირ შეფასებაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მეთოდები.
- განხორციელდეს სასწავლო კურსის ,,ბიზნესის საფუძველები“ სწავლის შედეგების ფორმულირების გადამუშავება სასწავლო კურსის კომპონენტების და კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის გათვალისწინებით.
- განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები.
- მდგრადი ხასიათი შეიძინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვის, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდისა და დენადობის მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართულმა აქტივობებმა, რომლებიც განსაზღვულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით და რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას.
- ხელმძღვანელის და სტუდენტების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესებთან შესაბამისობას.

- უსდ-მ შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას. ასევე, მნიშვნელოვანია უსდ-მ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე და უსდ-ს საქმიანობაში მათი მეტად ჩართვასა და მოტივაციის გაზრდაზე.
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საავიაციო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში წარმოშობილი გამოწვევების და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის და შრომის ბაზარზე მოქნილობის ზრდის საპასუხოდ, შესაძლებელია შემუშავდეს და პროგრამაში აისახოს უფრო მეტი სასწავლო კურსი საავიაციო ტრანსპორტის ინდუსტრიის მიმართულებით, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს მიიღოს სპეციალური ცოდნა, რომელიც გამოადგება საავიაციო სფეროში დასაქმებისა და შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში.
- სასურველია, სასწავლო კურსებში მითითებული მეთოდების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან სრულად აისახოს შესაბამის რუკაში.
- სასურველია, დაწესებულების მხრიდან დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გასაძლიერებლად და უკუკავშირის მისაღებად შემუშავდეს წამახალისებელი მექანიზმი.
- სასურველია, ბაკალავრიატის პროგრამაში სასწავლო კურსის ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში" დასახელება შეიცვალოს ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში (საწყისი დონე)", ან სხვა ვარიანტით.
- უნივერსიტეტი ფლობს ღირებულ აქტივს საავიაციო სექტორში მოღვაწე ბიზნეს კომპანიებთან და ორგანიზაციებთან პარტნიორობის სახით. შესაბამისად, სასურველია, ამ აქტივის გამოყენება არა მარტო პრაქტიკის, არამედ სტუდენტებში სამეცნიერო ინტერესის გაღვივების, მათი მოტივირების და კვლევით პროექტებში ჩართვის მიზნით. პარტნიორ ბიზნეს კომპანიებთან თანამშრომლობით შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტური კვლევები იმ თემებზე, რომელიც აქტუალურია ბიზნესისთვის და სტუდენტების მოტივირებისთვის მიეცეს მას კონკურსის სახე. მაგ.: გამოვლინდეს რომელიმე პარტნიორი კომპანიის მიერ შერჩეული საუკეთესო სამეცნიერო სტატია უსდ-სთან ერთად, რომლის ავტორიც მიიღებს გარკვეულ ფულად ჯილდოს ან კომპანიის მიერ დაწესებულ სიმბოლურ პრიზს.
- სასურველია, უფრო აქტიურად ჩატარდეს დარგში მოღვაწე კომპანიების წარმომადგენლების საჯარო ლექციები. აღნიშნული უზრუნველყოფს დამსაქმებლების მეტ ჩართულობას უნივერსიტეტის საქმიანობაში და სტუდენტების მხრიდან სექტორში მოღვაწე კომპანიების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ინტერესის გაღვივებას საჰაერო ტრანსპორტის სფეროში.

- სასურველია, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.
- სასურველია, კონდიცირების სისტემის ხელმისაწვდომობა ყველა აუდიტორიაში, უნივერსიტეტის ბაზაზე ახალი სამუშაო სივრცეების შექმნა სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის;
- სასურველია, უსდ-მ გააგრძელოს სამეცნიერო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი და გამოიყენოს მონაცემები სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით.
- სასურველია, უსდ-ს მიერ არა მარტო სარეკლამო, არამედ ინტეგრირებული მარკეტინგული საკომუნიკაციო გეგმის განხორციელებაზე ფოკუსირება, რათა ეფექტურად მიწვდეს პოტენციურ სტუდენტებს და მოახდინოს პროგრამის კონკურენტული უპირატესობის სწორად წარდგენა.
- სასურველია, გააქტიურდეს ადგილობრივი და უცხოელი პარტნიორების მხრიდან პროგრამის კოლეგიალური შეფასების მექანიზმი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ გადამუშავება მოხდა შრომის ბაზრის კვლევისას გამოვლენილი აქტუალური საკითხების და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების (სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი) გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში მოდიფიცირდა პროგრამის სტრუქტურა, დაემატა ახალი სასწავლო კურსები. განახლდა სასწავლო ლიტერატურა, დაზუსტდა სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები, შემუშავდა პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები.

პროგრამის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა სტუდენტთა ელექტრონული პორტალის სრულყოფა, საბიბლიოთეკო რესურსების გამრავალფეროვნება, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა, ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერის ღონისძიებები, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და სხვა ღონისძიებების გატარება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს სწავლა - სწავლების და კვლევის პროცესის ხარისხის ამაღლებას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში წარმოდგენილია ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებსაც შეიძენს კურსდამთავრებული პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ათვისების შემდეგ. პროგრამის მიზნები ასახავს მის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. კერძოდ, პროგრამის მიზნებია: 1. კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ კომლექსური ბიზნეს სამყაროს შესახებ ფართო თეორიული ცოდნა. მმართველობითი ტექნიკის გამოყენებით მონაწილეობას მიიღებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აღჭურვილი იქნებიან ორგანიზაციის მართვისათვის საჭირო ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების უნარებით. 2. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტს განუვითაროს ორგანიზაციის მართვის კონტექსტში გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს კარიერის აწყობას, როგორც კერძო სექტორში, ასევე საჯარო სექტორში. 3. პროგრამა უზრუნველყოფს ანალიტიკურ აზროვნების ჩამოყალიბებას, მენეჯმენტის და მენეჯმენტის საკითხების კრიტიკულ გააზრებას, მონაცემების შეგროვების, დამუშავების, სანდო და რელევანტური დასკვნების გაკეთების, არგუმენტაციის, ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. უნივერსიტეტის მისიაა საზოგადოებას შესთავაზოს საავიაციო სფეროში მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი და პროფესიული განათლება – საფრენოსნო მომზადების, საავიაციო ინჟინერიისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; მოამზადოს კვალიფიციური კურსდამთავრებულები და ხელი შევუწყოს მათი პიროვნული თვისებების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მათ ჩამოყალიბდნენ დარგის პროფესიონალებად; კვლევისა და აღმოჩენის კულტურის განვითარებით და ახალი ცოდნის შექმნით უპასუხოს საავიაციო სფეროს ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებს. პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. აღსანიშნავია, რომ სააკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოკითხვისას ექსპერტების მხრიდან დაისვა შეკითხვა პროგრამის სახელწოდების და მისი მიზნებისა ურთიერთკავშირის

შესახებ. ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად“, თუმცა შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის მიზნები მიმართულია არა საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის, არამედ ზოგადი მენეჯმენტის სფეროს ფართო ცოდნის მიღების და ამ სფეროსთვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისკენ. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება დაკავშირებულია უნივერსიტეტის პროფილთან და მარკეტინგულ ფუნქციას ასრულებს. იგი ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური მენეჯერების მომზადებაზე როგორც ზოგადი პროფილით, ასევე შესაბამისი ინდუსტრიისთვისაც. კერძოდ, პროგრამაში წარმოდგენილია ისეთი საავიაციო მიმართულების ძირითადი სასწავლო კურსი, როგორიცაა ავიაბიზნესის საფუძვლები (5 ECTS კრედიტი), სწავლების ძირითადი სფეროს არჩევით სასწავლო კურსები: ლოჯისტიკის საფუძვლები (5 ECTS კრედიტი), საერთაშორისო სამგზავრო და სატვირთო ავიაგადაყვანა - გადაზიდვები (5 ECTS კრედიტი) და საუნივერსიტეტო სავალდებულო კომპონენტი - ავიაციის საფუძვლები (3 ECTS კრედიტი). ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამა გვთავაზობს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა საწარმოო პრაქტიკა (18 ECTS კრედიტი), რომელიც უშუალოდ საჰაერო ტრანსპორტის სახელმწიფო და კერძო კომპანიებში ხორციელდება და საბაკალავრო ნაშრომი (12 ECTS კრედიტი), რომელიც მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საკითხების კვლევაზე. ამასთან, გამოკითხვის პროცესში აღინიშა, რომ კონკრეტული შემთხვევების მაგალითის მეთოდის გამოყენებისას მთელ რიგ სასწავლო კურსებში წარმოდგენილია სწორედ საერთაშორისო და ადგილობრივი ავიაკომპანიების და საავიაციო ინდუსტრიის მაგალითები. თვითშეფასების დოკუმენტების შესწავლის პროცესში კი გამოვლინდა, რომ საწარმოო პრაქტიკის საკითხზე მემორანდუმების ნაწილი გაფორმებულია ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც არ ოპერირებენ საავიაციო სფეროში (მაგ.: ეროვნული ბანკი, შავი ზღვის საერთშორისო უნივერსიტეტი და ა.შ). ასევე, საბაკალავრო ნაშრომების ნაწილი შესრულებულია ზოგადი მენეჯმენტის თემატიკაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების ცვლილება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე.

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები. აღნიშნული მიდგომები შემუშავდა შრომის ბაზრის და უცხოური გამოცდილების, ასევე, მენეჯმენტის ანალოგ უცხოურ პროგრამებთან დადარების გზით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა პროგრამაში ჩართული დაინტერესებული პირების გამოკითხვა და ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა აკრედიტაციის პროცესში დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიურების პროცესში გამოითქვა თვალსაზრისი, რომ სასურველია, კურსდამთავრებულს ჰქონდეს უფრო მეტი ცოდნა საავიაციო ტრანსპორტის ინდუსტრიის მიმართულებით, რადგან აღნიშნული პროგრამის უპირატესობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტები ეუფლებიან საავიაციო ტრანსპორტის სპეციფიურ ცოდნას, რაც მათ უფრო მეტად კონკურენტუნარიანს ხდის სპეციფიკურ ბაზარზე

დასაქმების მიმართულებით. პროგრამის კომპონენტები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა. აღსანიშავია, რომ უნივერსიტეტი ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციის აქტივობების (გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო კონფერენციები, საერთაშორისო პუბლიკაციები, საჯარო ლექციები და ა.შ.) გაძლიერებისკენ და ინფორმაცია ამ აქტივობებზე საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; ○ თვითშეფასების კითხვარი; ○ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა; ○ უნივერსიტეტის ვებ–გვერდი.
რეკომენდაციები: ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვროს პროგრამის მიზნების შესაბამისად ,,სწავლების სფეროს კლასიფიკატორის“ მოთხოვნის საფუძველზე. კერძოდ, პროგრამის სახელწოდება ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ შეიცვალოს სახელწოდებით - ,,მენეჯმენტი“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ საავიაციო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში წარმოშობილი გამოწვევების და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის და შრომის ბაზარზე მოქნილობის ზრდის საპასუხოდ, შესაძლებელია შემუშავდეს და პროგრამაში აისახოს უფრო მეტი სასწავლო კურსი საავიაციო ტრანსპორტის ინდუსტრიის მიმართულებით, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს მიიღოს სპეციალური ცოდნა, რომელიც გამოადგება საავიაციო სფეროში დასაქმებისა და შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“ თანხვედრაში, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. ისინი გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტურია და შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის დონეს.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მათთვის გაცნობილი იქნა სწავლის შედეგები. მიუხედავად ამისა, აკრედიტაციის ექსპერტებმა მათთან ინტერვიუს საფუძველზე მიიჩნიეს, რომ სასურველია, დაწესებულების მხრიდან მათი ჩართულობის გასაძლიერებლად და უკუკავშირის მისაღებად შემუშავდეს წამახალისებელი მექანიზმი, რადგან პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართული მონაწილეების მცირე ნაწილმა თვითკრიტიკულად შეაფასა ამ პროცესში საკუთარი მონაწილეობა.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც შედგება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკისგან, სასწავლო კურსების და სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდებისა და სწავლის შედეგების რუკებისგან. ამ უკანასკნელში სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის მეთოდები სრულად არაა ასახული.

მაგალითად, 1.1 შედეგზე პროგრამის მიხედვით სტუდენტი გადის შემდეგი სასწავლო კურსების ათვისებით: ეკონომიკის პრინციპები 1, ეკონომიკის პრინციპები 2, ბიზნესის საფუძვლები, საერთაშორისო ბიზნესი და სამეწარმეო სამართლის საფუძვლები, რომელთა სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები საკმარისად მრავალფეროვანია. ეკონომიკის პრინციპები 1-ის სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლა-სწავლების მეთოდებში მითითებულია ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, საკურსო სამუშაო/პროექტი, თუმცა 1.1 სწავლის შედეგისთვის მითითებულია სწავლების მეთოდები - ლექცია, დისკუსია/დებატები და შეფასების მეთოდები - ქვიზები/ტესტები და კითხვარები და ამგვარად, სხვა ზემოთ ხსენებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული ინფორმაციით.

ექსპერტების მიერ ინტერვიუს დროს აღნიშნულის თაობაზე დასმული იქნა შეკითხვა, თუ რატომ არ იქნა სრულყოფილად გადმოტანილი სწავლების მეთოდები. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, რუკაში მითითებულია მხოლოდ ის სწავლის მეთოდები, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ მასალის გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების განსაზღვრაში. სასურველია, სასწავლო კურსებში მითითებული მეთოდების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან სრულად აისახოს შესაბამის რუკაში.

საგანმანათლებლო პროგრამაში თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულების ფაქტიური და დაგეგმილი პროცენტული სიდიდეები. პროგრამაში განმარტებულია, რომ ,,თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება; ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი:

- კრედიტების/საათების განაწილება დროში;
- სწავლების მეთოდები;
- თემატიკა;
- მოცულობა;
- შეფასების ფორმები და მეთოდები;
- ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
- კურსის დაძლევის წინაპირობა;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ.“

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სამიზნე ნიშნულების სიდიდეების განსაზღვრისთვის უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებას და სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს დაეყრდნო. მან აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულების რეალური შეფასება მოხდება მას შემდეგ, რაც პროგრამის წარმოდგენილი სახით განხორციელება დაიწყება.

დაწესებულება სწავლის შედეგების შეფასებისას იყენებს პირდაპირი (სტუდენტების აკადემიური მოსწრებასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი) და არაპირდაპირი (სტუდენტების გამოკითხვის შედეგები) შეფასების შედეგებს, რომელთა საფუძველზეც საგანმანათლებლო პროგრამაში მოდიფიცირდა პროგრამის სტრუქტურა, დაემატა ახალი სასწავლო კურსები. განახლდა სასწავლო ლიტერატურა, დაზუსტდა სწავლისა და

სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები, შემუშავდა პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები.

პროგრამის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა სტუდენტთა ელექტრონული პორტალის სრულყოფა, საბიბლიოთეკო რესურსების გამრავალფეროვნება, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა, ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერის ღონისძიებები, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და სხვა ღონისძიებების გატარება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.

საერთო ჯამში გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ფაქტობრივად ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასება და მათი პერიოდულობა შესაბამისობაშია დარგის სპეციფიკასთან, მჭიდროდ თანამშრომლობენ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე, ინსტრუმენტები მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

მიუხედავად ამისა, თვითშეფასებაში კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების შეფასების მაჩვენებლი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძალიან მერყევია და ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამის სწავლის შედეგების უფრო ეფექტურად და სისტემატიზებულად შეფასების მიზნით დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რომელშიც განისაზღვრება სწავლის ფაქტობრივი შედეგები, არაპირდაპირ შეფასებაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მეთოდები.

დაწესებულება გეგმავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენოს პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- თვითშეფასების კითხვარი.

რეკომენდაციები:

- დაიხვეწოს მექანიზმი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტთა შეფასების ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის შედეგები, სწავლის შედეგების არაპირდაპირ შეფასებაში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მეთოდები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო კურსებში მითითებული მეთოდების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან სრულად აისახოს შესაბამის რუკაში.

○ სასურველია, დაწესებულების მხრიდან დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გასაძლიერებლად და უკუკავშირის მისაღებად შემუშავდეს წამახალისებელი მექანიზმი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის. პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (2019) შესაბამისად. სააკრედიტაციოდ წაარმოდგენილი პროგრამის ანოტაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ფაკულტეტის პროგრამების კატალოგში. იგი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც, ასევე, მითითებულია საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია აბიტურიენტის ცნობარში. უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ აღწერილია საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები. „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ აბიტურიენტის ცნობარი 2020; ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების გამოკითხვის შედეგები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ შედგენილია დაწესებულების რექტორის დადგენილების N 0875 (08.07.2019 წ.) ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“ მიხედვით, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მისი შინაარსი, მოცულობა - 240 კრედიტი და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების ბაკალავრიატის

საფეხურს. იგი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 157 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები არჩევითი - 35 კრედიტი; საუნივერსიტეტო სავალდებულო კომპონენტები - 27 კრედიტი (ძირითადად, ინგლისური ენა და ავიაციის საფუძვლები); თავისუფალი არჩევითი კომპონენტები - 21 კრედიტი. პროგრამის შინაარსი არ საჭიროებს სპეციფიურ დაშვების წინაპირობებს და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“ და უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, გათვალისწინებულია ადეკვატური დაშვების წინაპირობები. პროგრამა სრულდება სასწავლო პრაქტიკით და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით. საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს, მის შემუშავებაში დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, თუმცა დაწესებულებას მიაჩნია, რომ კიდევ მეტად არის გასაძლიერებელი დაინტერესებული მხარეების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა) ჩართულობის ხარისხი. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების, საჯარო შეხვედრებისა და კონსულტაციების გზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; ○ თვითშეფასების კითხვარი.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ,,საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები გამომდინარეობს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიდან, რაც აღწერილია სწავლის შედეგების რუკაში, დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, განსაზღვრულია თითოეული სასწავლო კურსის შესაბამისობა ადეკვატურად. აგრეთვე, მათი შინაარსები შეესაბამება მასში აღწერილ სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურს, გარდა სასწავლო კურსისა ,,ბიზნესის საფუძვლები“. სასწავლო ლიტერატურის და თემატიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული სასწავლო კურსის გავლის შემდგომ მოსალოდნელი სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, თუმცა შედეგების ფორმულირება საჭიროებს გადამუშავებას. აღნიშნულ საკითხზე ვიმსჯელეთ სასწავლო კურსის ლექტორთან და მივიღეთ თანხმობა. ამასთან, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში გვხვდება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, მაგრამ ერთი დასახელების სასწავლო კურსი: ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში“. სასურველია, ბაკალავრიატის პროგრამაში აღნიშნული სასწავლო კურსის დასახელება შეიცვალოს ,,კვლევის მეთოდების საფუძვლებით“, ან სხვა ვარიანტით. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსს, ასათვისებელი მასალის მოცულობას, სირთულესა და სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსები მოიცავს საკონტაქტო (ლექცია, ჯგუფში მუშაობა, გამოცდა) და დამოუკიდებელ საათებს, რომელთა შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. მაგ. როგორც წესი, სასწავლო კურსის საკონტაქტო

საათები იმგვარადაა განაწილებული, რომ მიღწეული იქნას სტუდენტისთვის ლექციაზე ათვისებული მასალის პრაქტიკაში გამოყენება, შესაბამისად სალექციო საათებს სჭარბობს ჯგუფში მუშაობისთვის დათმობილი საათები, ხოლო კურსის ათვისებისთვის გამოყოფილი საერთო საათების 50%-ზე მეტი სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობისთვის ეძლევა. აღნიშნული საერთო მიდგომიდან რელევანტურადაა განსხვავებული სასწავლო პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის საათების განაწილება, სადაც სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობისთვის ეძლევა საკმარისი დრო. შესაბამისად, სასწავლო კურსებში მოცემული საკონტაქტო საათების რაოდენობა, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება და იგი გამჭვირვალედაა გაწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში რუბრიკით ,,ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა“, მასში მოცემულია შეფასების ფორმები, სკალები, მაქსიმალური ქულები და მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

შეფასების სისტემის მიხედვით სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 60 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 40 ქულა. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 60 ქულის 35%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო 40 ქულის 50% ან მეტი.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეფასების ორივე ფორმაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ანუ დააგროვა 41 ქულა.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და გარდა ერთეული გამონაკლისებისა, წარმოადგენს სფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ და ბიზნეს გარემოში მიმდინარე თანამედროვე გამოწვევებისა და მიღწევების ამსახველ მასალას.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნულ გამონაკლისებზე სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორებისთვის დასმული იქნა შეკითხვა მათ მიერ გამოყენებული ლიტერატურის თაობაზე და დასახელებული თანამედროვე ლიტერატურა არ დაემთხვა სილაბუსში მითითებულ წყაროს, რაც ახსნეს ტექნიკური შეცდომით. ასევე, სილაბუსებში არ იყო მითითებული რიდერები, თუმცა, სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მათ სასწავლო კურსის წამყვანი პედაგოგები სისტემატურად აწვდიან. ამასთან, სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი (2010), ადამიანური რესურსების მართვა (2011 და 2009), ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები (2013) სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას.

საერთო ჯამში, საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გააჩნია სასწავლო მასალა, მათ შორის ,,რიდერები“, თუმცა ექსპერტთა რჩევაა, ისინი სათანადოდ იქნას ასახული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი.

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს სასწავლო კურსის ,,ბიზნესის საფუძველები" სწავლის შედეგების ფორმულირების გადამუშავება სასწავლო კურსის კომპონენტების და კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის გათვალისწინებით.
- განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ბაკალავრიატის პროგრამაში სასწავლო კურსის ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში" დასახელება შეიცვალოს ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში (საწყისი დონე)", ან სხვა ვარიანტით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლებისას აქცენტი კეთდება ძირითადი სწავლის სფეროს ბაზისური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული, კომუნიკაციის, გათვიცნობიერების უნარების განვითარებაზე, ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის უნარის ჩამოყალიბებაზე. სწავლების ინტერაქციული მეთოდები (ლექციები, სემინარები, პრეზენტაციები, სალექციო მასალის შესაბამისი პრაქტიკული ამოცანები) უზრუნველყოფს კომოპეტენციის გათვალისიწინებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული პრაქტიკულ აქტივობებში: გაცნობითი ვიზიტი სხვადასხვა ორგანიზაციაში, ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრები, საწარმოო პრაქტიკა. უნივერსიტეტს აქვს პარტნიორ ორგანიზაციათა მხარდაჭერა, ბიზნეს ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე დამამთავრებელ კურსზე სტუდენტები გადიან 15 კვირიან სავალდებულო საწარმოო პრაქტიკას 18 კრედიტის მოცულობით კომპანიების ბაზაზე, რა პერიოდშიც ისინი ეცნობიან ბიზნესის საწარმოო პროცესებს და ოპერაციებს. დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებულია პრაქტიკის მიზანი, თუმცა სასურველია, ასევე მოცემული იყოს პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობაც და ხანგრძლივობა. პრაქტიკის კომპონენტი ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით გამოცდას. შუალედური შეფასება ხორციელდება, როგორც შუალედური შემოწმების, ისე მენტორის (პრაქტიკის ხელმძღვანელი საწარმოდან) და უნივერსიტეტის მხრიდან პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასების საფუძველზე. ხოლო, ფინალური გამოცდისთვის სტუდენტები წერენ პრაქტიკის ანგარიშს და წარადგენენ მას კომისიის წინაშე. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობის მაღალ ხარისხს. მათი შეფასებით საწარმოო პრაქტიკა არის კარგად ორგანიზებული და შეესაბამება სტუდენტების საჭიროებებს, რაც აისახება მათ კმაყოფილების საერთო დონეზე. დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს გამოავლინეს მაღალი ინტერესი სტუდენტების პრაქტიკის კურსის ჩატარების საფუძველზე საუკეთესო კადრების რეკრუტირების და მათი შენარჩუნების მხრივ. დამსაქმებლების მხრიდან უნივერსიტეტის აღნიშნულ ფაკულტეტის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია და გამოკვეთილია კონკურენტული უპირატესობა სხვა უნივერსიტეტების ბიზნეს ადმინისტირების პროგრამებთან მიმართებაში დარგობრივი საგნების საფუძველზე მიღებული თეორიული ცოდნის გამო. ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც მოიცავს 12 კრედიტს. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი განისაზღვრება თემატიკის მიხედვით. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული თემატიკიდან გამომდინარე სტუდენტს

საშუალება აქვს აირჩიოს მისთვის სასურველი ხელმძღვანელი. ნაშრომის დაცვა ხორციელდება კომისიის წინაშე, რომელიც შედგება დარგობრივი კომისიის მინიმუმ 2 წევრისაგან. ჯგუფის ხელმძღვანელი და რეცენზენტი არ შედიან კომისიის შემადგენლობაში.

კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება სასწავლო კურსები ,,აკადემიური წერის საფუძვლები" და ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში". ამასთან, ძირითადი სასწავლო კურსების გავლის შემდეგ სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი. შერჩევით შერჩეული საბაკალავრო ნაშრომების გაცნობის შემდგომ აკრედიტაციის ჯგუფის წევრებმა დაადგინეს, რომ საბაკალავრო ნაშრომებში დარღვეული იყო აკადემიური წერის სტანდარტები. ინტერვიუს პროცესში პროგრამის ხელძღვანელმა ახსნა, რომ აღნიშნული შენიშვნები მასაც გაუჩნდა საბაკალავრო ნაშრომების გაცნობის შემდგომ და სწორედ ამ მიზნითა და მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი. შესაბამისად, მიმდინარე სემესტრში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომების მიმართ მოთხოვნილი იქნება ყველა ის სტანდარტი, რაც მოცემულია სილაბუსში და ,,საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესში".

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული პროგრამა და პროგრამის კომპონენტები ემსახურება სტუდენტის აღჭურვას თანამედროვე ბიზნეს გარემოში ადაპტირებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბდნენ კონკურენტუნარიან კადრად დასაქმების ბაზარზე.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა სტუდენტების დაბალი მოტივაცია კვლევით/სამეცნიერო მუშაობაში ჩართვის კუთხით, მიუხედავად უნივერსიტეტის ყოველწლიური კონფერენციებისა. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლების გამოკითხვის ანგარიშში გამოკვეთილია დამსაქმებლების მაღალი ინტერესი უსდ-სთან ერთად სამეცნიერო/პრაქტიკული ღონისძიებების გამართვის, კვლევით პროექტებში ჩართვის, გამოცდილების გაზიარების და სტუდენტებისთვის საჯარო ლექციების ჩატარების მხრივ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ssu.edu.ge
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ,,საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი";
- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- საბაკალავრო ნაშრომები.

რეკომენდაციები:

- ხელმძღვანელის და სტუდენტების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესებთან შესაბამისობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტი ფლობს ღირებულ აქტივს საავიაციო სექტორში მოღვაწე ბიზნეს კომპანიებთან და ორგანიზაციებთან პარტნიორობის სახით. შესაბამისად, სასურველია ამ აქტივის გამოყენება არა მარტო პრაქტიკის, არამედ სტუდენტებში სამეცნიერო ინტერესის გაღვივების, მათი მოტივირების და კვლევით პროექტებში ჩართვის მიზნით. პარტნიორ ბიზნეს კომპანიებთან თანამშრომლობით სასურველია განხორციელდეს სტუდენტური კვლევები იმ თემებზე, რომელიც აქტუალურია ბიზნესისთვის და სტუდენტების მოტივირებისთვის მიეცეს მას კონკურსის სახე. მაგ. გამოვლინდეს რომელიმე პარტნიორი კომპანიის მიერ შერჩეული საუკეთესო სამეცნიერო სტატია უსდ-სთან ერთად, რომლის ავტორიც მიიღებს გარკვეულ ფულად ჯილდოს ან კომპანიის მიერ დაწესებულ სიმბოლურ პრიზს.
- სასურველია უფრო აქტიურად ჩატარდეს დარგში მოღვაწე კომპანიების წარმომადგენლების საჯარო ლექციები. აღნიშნული უზრუნველყოფს დამსაქმებლების მეტ ჩართულობას უნივერსიტეტის საქმიანობაში და სტუდენტების მხრიდან სექტორში მოღვაწე კომპანიების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ინტერესის გაღვივებას საჰაერო ტრანსპორტის სფეროში.
- სასურველია, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა და ხანგრძლივობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ხელმძღვანელის და სტუდენტების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესებთან შესაბამისობას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკლავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილია თითოეულის შინაარსის, მიზნებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები. სწავლების პროცესში გამოყენებულია ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა ისეთი აქტივობებით როგორიცაა: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (ძირითადად საავიაციო სფეროსთვის დამახასიათებელი ქეისები), პროექტების პრეზენტაცია, თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა, რაც დაადასტურეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამოირკვა, რომ უცხოელი სტუდენტები დაწესებულებას არ ჰყავს, შესაბამისად მათი მზაობის დადგენა, არსებობის შემთხვევაში, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი გაითვალისწინებს თუ არა მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას, ვერ მოხერხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების გამოკითხვის შედეგები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით; სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორ სახის უარყოფით შეფასებას.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება წინა დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

თითოეული სასწავლო კურსის დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასების ფორმებით სულ მცირე ქულის 35% დაგროვება. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს გადალახული აქვს კომპეტენციის მინიმალური ზღვარი – 50% მეტი.

შუალედური შეფასებების დროს გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების ფორმები: ღია და დახურული კითხვები, ქეისი, ამოცანების ამოხსნა. დასკვნითი გამოცდები წერითი ფორმისაა და მოიცავს როგორც ღია და დახურულ კითხვებს, ასევე განმარტებებს.

საგამოცდო ნაშრომების შესწორებისას დაცულია ანონიმურობის პრინციპი. პროფესორს საგამოცდო ნაშრომი გადაეცემა დაშიფრული სახით, შესაბამისად ლექტორი ვერ ახდენს სტუდენტის იდენტიფიცირებას, რაც კიდევ უფრო მეტად ობიექტურს ხდის შეფასების პროცესს. გასწორებული ნაშრომი უბრუნდება სასწავლო პროცესის რეგულირების

სამსახურს, სადაც ხდება ნაშრომზე შიფრის მოცილება და ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალში შესაბამისი ქულის შეტანა. გამოცდის შედეგები სტუდენტისათვის ცნობილი ხდება ელექტრონული აღრიცხვის მეშვეობით. გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის მიუღებელი შეფასება. ამ მიზნით სტუდენტი მიმართავს საგამოცდო ცენტრს და ნამუშევარი ეგზავნება სააპელაციო კომისიას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა რომ უნივერსიტეტში არსებობს ხელმეორე გასაჩივრების (კასაციის) წესი, რაც ობიექტურობისა და მიუკერძოებულობის მეტ შესაძლებლობას იძლევა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ელექტრონული პორტალი; ○ საუნივერსიტეტო დებულება; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტიში საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების შესახებ, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას სტუდენტები მუდმივად ეცნობოდნენ მიმდინარე სიახლეებს. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და გამორიცხავს მიკერძოებულობას, რაც თანაბარ პირობებში აყენებს თითოეულ სტუდენტს. აღსანიშნავია რომ არსებობს კასაციის წესი რისი მეშვეობითაც სამართლიანობა და ობიექტურობა დაცულია. სტუდენტებს სასწავლო მასალებზე წვდომა აქვთ როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად, შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის რესურსებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა აქტივობების შესახებ, რომელიც

მიმდინარეობს, თუმცა ნაკლებად იღებენ მონაწილეობას. გაცილებით ნაკლებია აქტიურობა საერთაშორისო აქტივობებში. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციის შესაძლებლობა მათ მიერ ლექტორთან წინასწარ შეთანხმებულ დროს. სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე კონსულტაციებს, აგრეთვე, ინფორმაციას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით აქტივობების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან; ○ ვიზუალური დათვალიერება საუნივერსიტეტო ინრასტრუქტურის; ○ გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სტუდენტთა მოტივირება კონფერენციებში, პროექტებში, გაცვლითი პროგრამებში, სხვადასხვა აქტივობებსა და ფორუმებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს შემუშავებული აქვს: 1. პერსონალის მართვის პოლიტიკა; 2. აფილირების წესი 3. აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი 4. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და 5. აკადემიური დატვირთვის წესი, რომელიც მოიცავს აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებასა და პროფესორ-მასწავლებლების აკადემიური დატვირთვის განაწილების სქემას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 37 პერსონალი (მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალი), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ხელს უწყობს სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში. პროგრამაში ჩართულია სულ 14 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: 1 აფილირებული პროფესორი, 3 აფილირებული ასოცირებული

პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტი და 23 მოწვეული პერსონალი. შესაბამისად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის შორის წილობრივი გადანაწილება არის 14/23. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით 5/271-ზე. აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო წლებში მაღალია და შეადგენს 11/9-ს, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში შეადგენს 46/30-ს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ხარისხის სამსახურის განცხადებით აკადემიურ პერსონალში დენადობის მაღალი მაჩვენებლის ძირითად მიზეზად დასახელდა წამყვანი პერსონალის პენსიაზე გასვლა ინტენსიურად და ახალგაზრდა კვალიფიციური კადრებით პროგრამის განახლების აუცილებლობა.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამაში ჩართული არიან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და უსდ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიურ პერსონალის თანამდებობაზე ღია კონკურსი ცხადდება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ან უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით. საუკეთესო კანდიდატების შერჩევა ხორციელდება აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესის თანახმად, ვაკანტური პოზიციებისათვის განსაზღვრულ ძირითად, სპეციალურ და ასევე, დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, შესაბამისი კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების, პედაგოგიური, სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილებისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე. აღნიშნული წესი ითვალისწინებს აკადემიურ პოზიციაზე დასაქმებულთა ატესტაციას თანამდებობის დაკავებიდან ყოველ შემდგომ მე-5 წელს. ატესტაციას დაქვემდებარებული დასაქმებულები არიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და დისტანციური შეფასების შედეგად დგინდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია უსდ-ს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში. მოწვეული ლექტორების შერჩევის პროცესში ყურადღება ექცევა შესაბამის სფეროში განათლებას, პრაქტიკულ და პედაგოგიურ გამოცდილებას. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.

არსებული მდგომარეობით, პროგრამის განმახორციელებლი პირების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებას.

პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. მათ ოპერატიულ საქმიანობის შედეგებს და უკუკავშირს დადებითად აფასებენ სტუდენტები. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. თუმცა, მდგრადი ხასიათი შეიძინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვის, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდის და დენადობის

მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართულმა აქტივობებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის მართვის პოლიტიკა; ○ აფილირების წესი; ○ აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი; ○ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ○ აკადემიური დატვირთვის წესი; ○ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი ღია კონკურსის გამოცხადების და კონკურსის შედეგების შესახებ ბრძანებები (2015-2019 წწ); ○ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე; ○ პროგრამის განმახორციელებლი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმე; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○ მდგრადი ხასიათი შეიძინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვის, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდისა და დენადობის მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართულმა აქტივობებმა, რომლებიც განსაზღვულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით და რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომებს და სტრატეგიას. სტრატეგიის ფარგლებში, უსდ გეგმავს შეიმუშავოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმა, რომლის განხილვა/გადასინჯვა და საჭიროების შემთხვევაში მასში სათანადო ცვლილებების ასახვა განხორციელდება ყოველწლიურად. უსდ-ს დაგეგმილი აქვს, რომ აღნიშნული გეგმა მოიცავდეს პროფესიული განვითარების შედეგების შეფასების კრიტერიუმებს. აღსანიშნავია, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა უსდ-ში შემუშავდა 2020 წლის მარტის თვეში, რაც ადასტურებს უსდ-ს მზაობას განახორციელოს ცვლილებები პერსონალის განვითარების მექნიზმებში და ხელი შეუწყოს მათ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობის განხორციელებას. დამტკიცებული პოლიტიკის თანახმად, როდესაც პერსონალი ესწრება უსდ-ს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს, როგორიცაა სხვადასხვა სახის პროფესიულ-საგანმანათლებლო ტრენინგები, სოციალურ-კულტურული და სხვა სახის ღონისძიებები, თუკი დასწრების პერიოდი მოიცავს სამუშაო საათებს, დასაქმებულს ეთვლება სამუშაო პერიოდში და ანაზღაურდება სრულად.

უსდ-მ 2020 წელს განავითარა მოწვეული და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების და ანალიზის სისტემა. შეფასება იგეგმება, რომ განხორციელდეს ყოველწლიურად და მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიონალიზმისა და საქმიანობის შესაბამისობის დადგენას უსდ-ს მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, მათ მიერ განხორციელებული პედაგოგიური, კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურობის შეფასებას, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიკაციას, სუსტი მხარეების აღმოჩენას და მხარდამჭერი სათანადო ღონისძიებების დაგეგმვას. პერსონალის მართვის პოლიტიკასთან ერთად უსდ-ს მიერ შემუშავებულია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების კითხვარი და ასევე, წარმოდგენილია მოწვეული, აკადემიური და პერსონალის შეფასების ინსტრუმენტი სტუდენტების მიერ შესავსებად. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ადამიანური რესურსების მენეჯერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ამზადებს დასკვნას აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული

პერსონალის შესახებ, რომელიც წარედგინება მმართველ საბჭოს. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, უსდ გეგმავს განახორციელოს პერსონალის წახალისება, მასზე გაუმჯობესების რეკომენდაციების გაცემა ან უკიდურეს შემთხვევაში დათხოვნა, უსდ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული წესების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების კითხვარში წარმოდგენილია ინფორმაცია საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, საგრანტო და საკონსულტაციო პროექტებში მონაწილეობის და ასევე, გამოქვეყნებული პუბლიკაციების, სტატიების, მონაგრაფიების და ა.შ. შესახებ კითხვები.

მიუხედავად უსდ-ს მზაობისა, ხელი შეუწყოს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდას, რასაც 2 აკადემიური პერსონალის (დავით ტეფნაძე, გიორგი ევგენიძე) ვიზიტიც ადასტურებს აშშ-ში ამერიკის განათლების სისტემის საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში პროფესიული და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. არ ფიქსირდება ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში პერსონალის გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობა, თუმცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მათ გააქტიურეს უნივერსიტეტის ჩართულობა ერაზმუს+ პროგრამაში და გააფორმეს ხელშეკრულებები პარტნიორ უნივერსიტეტებთან პერსონალის აკადემიური მობილობის მიზნით.

მიუხედავად ამისა, მისასალმებელია, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი და საერთაშორისო ორგანიზაცია Econworld-ის, სევილიის უნივერსიტეტის და მსოფლიო ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის თანაორგანიზებით, მე-20 საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია ჩატარდება 2020 წლის 26-29 აგვისტოს უსდ-ს ბაზაზე. უსდ-ს განცხადებით უსდ-ს პროფესორებისთვის დაფინანსებული იქნება 10 ადგილი კონფერენციაზე დასასწრებად.

მნიშვნელოვანია, რომ უსდ-მ განახორციელოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით განსაზღვრული და სამოქმედო გეგმაში დასახული ღონისძიებები, შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზურნველყოფს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას. ასევე, მნიშვნელოვანია უსდ-მ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვაზე და უსდ-ს საქმიანობაში მათი მეტად ჩართვასა და მოტივაციის გაზრდაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- https://tbilisi2020.econworld.org/ (თარიღი: 26 მაისი, 2020)
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ინტერნაციონალიზაცის პოლიტიკა;
- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- უსდ-მ შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების და მათი მხრიდან

სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას. ასევე, მნიშვნელოვანია უსდ-მ იზრუნოს მოწვეული პერსონალის აკადემიური უნარების უწყვეტ განვითარებაზე და უსდ-ს საქმიანობაში მათი მეტად ჩართვასა და მოტივაციის გაზრდაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ონლაინ ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით (კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური აღწურვილი ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და კომპიუტერული ტექნიკით, სალექციო მეცადინეობისთვის გამოყოფილი აუდიტორიებით

და სასწავლო ინვენტარით), რაც ქმნის სათანადო გარემოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტების საუბრის შედეგად გამოიკვეთა უსდ-ს მხრიდან კონდიცირების სისტემის (ყველა აუდიტორიაში ხელმისაწვდომობის) გაუმჯობესების რჩევა, ასევე უსდ სუსტ მხარედ აღიქვამს პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის გათვლილ სამუშაო სივრცეების ნაკლებობას. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს პროგრამის ფარგლებში სილაბუსებით გათვალისწინებული საჭირო სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე ლიტერატურის ბეჭდურ ან ელექტრონულ სახელმძღვანელოებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდიდან: ssu.edu.ge/ბიბლიოთეკა/. 2019 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით მოიპოვა წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო რესურსებზე, მათ შორის: Scopus, Science Direct, Civil Funding, Web of Science, Elsevier, Research databases, ასევე, საავიაციო სფეროს შემდეგ სამეცნიერო პლატფორმებზე: Aerospace and aviation და Aviation Database. აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის პანდემიის დაწყებისთანავე სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საშუალება მისცა უსდ-მ, რომ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით ისარგებლონ სახლიდან, რაც მეტად მისასალმებელია. უსდ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია ვებინარი "Elsevier-ის სამეცნიერო ბაზების გამოყენება". ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან ონლაინ გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ უსდ ახორციელებს სამეცნიერო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგს, თუმცა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღიშნეს, რომ აღნიშნულ ბაზებზე წვდომა შესაძლებელი გახდა მიმდინარე სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან და მათ ფაქტობრივად არ უსარგებლიათ ამ რესურსებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ელექტრონული კატალოგი; ○ ელექტრონული სამეცნიერო რესურსები; ○ უსდ-ს ვებ-გვერდი: ssu.edu.ge; ○ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, მოწვეულ ლექტორებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან; ○ წარმოდგენილი სილაბუსები; ○ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების და დაცვის წესები; ○ უსდ-ს საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის ბაკალავრის პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ პერსონალის გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კონდიცირების სისტემის ხელმისაწვდომობა ყველა აუდიტორიაში, უნივერსიტეტის ბაზაზე ახალი სამუშაო სივრცეების შექმნა სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის;
- სასურველია, უსდ-მ გააგრძელოს სამეცნიერო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი და გამოიყენოს მონაცემები სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს ფინანსური სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირებას. უსდ-ს საჰაერო მენეჯმენტის პროგრამის ბიუჯეტი ასახავს მონაცემებს სასწავლო პროგრამიდან მიღებული შემოსავლების შესახებ. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯების შემდეგი მუხლები: პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული პირდაპირი ხარჯები და ადმინისტრაციული და სხვა ზოგად საუნივერსიტეტო ხარჯების

დაფინანსებისთვის გადაცემული თანხები. პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული პირდაპირი ხარჯები მოიცავს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების, მივლინების და განვითარებაზე გათვლილ ფინანსურ რესურსს. ასევე, მოწვეული საერთაშორისო სპეციალისტების ხარჯს, ბიბლიოთეკის და სტუდენტური ღონისძიებებისათვის გათვლილ ბიუჯეტს. ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განვითარებაზე და რეკლამაზე გათვლილი ფინანსური რესურსიც. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების და თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობა წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტების ადგილების რაოდენობას, თუმცა 2019 წლის მონაცემებით, პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობა გაზრდილია. საყურადღებოა სტუდენტთა რაოდენობის დაპროცენტული მაჩვენებლის კლება აკადემიური წლების მიხედვით და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი. გასათვალისწინებელია, რომ 2019 წლისთვის გარე მობილობით პროგრამიდან გადასულ სტუდენტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობას. შედარებით მაღალი იყო შიდა მობილობით პროგრამაზე გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა. საჰაერო ტრასპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და ეკონომიკურად მიღწევადია, რადგან პროგრამას აქვს პოზიტიური სალდო. შედეგად, პროგრამის განვითარების მიმდინარე გამოწვევების მიუხედავად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ უსდ-ს პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ფინანსური სამსახურის დებულება სააღრიცხვო პოლიტიკა.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უსდ-ს მიერ არა მარტო სარეკლამო, არამედ ინტეგრირებული მარკეტინგული საკომუნიკაციო გეგმის განხორციელებაზე ფოკუსირება, რათა ეფექტურად მიწვდეს პოტენციურ სტუდენტებს და მოახდინოს პროგრამის კონკურენტული უპირატესობის სწორად წარდგენა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეგულირდება ,,საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტით და ,,უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების წესით“. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანის ინიცირებით, ხდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე პროცესის დაწყება, რისთვისაც, თავდაპირველად იგი ამ წინადადებით მიმართავს რექტორს. დეკანის წინადადებას საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების შესახებ თან უნდა ერთვოდეს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, იგი მიმართულია პროცესების შეფასების, ხარვეზების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის გზების მოძიებისკენ.

აღნიშნულის საფუძველზე ხორციელდება ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლი, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის, შემუშავებული კითხვარების ან ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე განსაზღვრავს პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვას და დანერგვას.

ამავე დოკუმენტებში მოცემულია საგანამანთლებლო პროგრამის შეფასების ძირითადი აქტივობები, როგორებიცაა სასწავლო კურსების, კურსის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მატერიალური რესურსის შეფასება, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს განმავითარებლი აქტივობების განსაზღვრა - დაგეგმვა.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულნი არიან როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით პროგრამაში აისახა დაინტერესებული მხარეების მხრიდან შემოთავაზებული თვალსაზრისების საფუძველზე განსაზღვრული ცვლილებები, როგორებიცაა ინგლისური ენის კომონენტის, პროექტების შემუშავებისა და მართვის, საოფისე პროგრამების, თვითმენეჯმენტის ცოდნისა და უნარების განმავითარებელი კომპონენტები. პროგრამის სავალდებულო სასწავლო მოდულს დაემატა აკადემიური წერა, ექსპორტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდები ბიზნესში. ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განხორციელდა კრედიტების დიფერეინცირება. აქტიურად გამოიყენება ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაციის მეთოდები და კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე სწავლება.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი ხორციელდება ყოველწლიურად, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ციკლის შეფასება კი ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. უნივერსიტეტს აქვს სტრატეგიული განვითარების (2019 – 2026) და სამოქმედო (2019-2021) გეგმები.

წარმოდგენილი გეგმების და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის შემუშავებასა და განხორიცელებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი; ○ უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი.
რეკომენდაციები: ○ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. აღნიშნული საფუძველზე პროგრამაში შეტანილი იქნა ცვლილებები პროგრამის სტრუქტურის, ცალკეული კურსის შეფასების ფორმებისა და კომპონენტების, სწავლა/სწავლების მეთოდებისა და აქტივობების, გამოყენებული ლიტერატურის განახლების კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების სააკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოკითხვის შედეგები; ○ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველ სასწავლო კურსს სტუდენტები აფასებენ ელეტრონული გამოკითხვის საფუძველზე. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით, რომლებიც პროგრამის განხორციელების პროცესში დაიხვეწება, განხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება სამიზნე ნიშნულებთან გაანალიზების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში მოხდება პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

პერიოდულად ხდება პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განახორციელეს პროგრამის სტრუქტურის დადარება მინესოტას უნივერსიტეტის (აშშ) კარლსონის მენეჯმენტის სკოლის და მენეჯმენტისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის (ლიეტუვა) მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების სააკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა.
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გააქტიურდეს ადგილობრივი და უცხოელი პარტნიორების მხრიდან

პროგრამის კოლეგიალური შეფასების მექანიზმი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:შპს საქართველოს საავიაციო უნივერიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა / ე. ლეკაშვილი/

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა /მ. მოისწრაფიშვილი/

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ნ. დგვეფაძე/

სახელი, გვარი, ხელმოწერა  /თ. ღულუნიშვილი/